საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-933

27/09/2019

ქ. თბილისი

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-119) ჭრებალო-ნიკორწმინდას საავტომობილო გზის კმ 1 (0+450)-ზე მდ. რიონზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-13 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ,,შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-119) ჭრებალო-ნიკორწმინდას საავტომობილო გზის კმ 1 (0+450)-ზე მდ. რიონზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის'' პროექტზე სკოპინგის დასკვნა N98; (23.09.2019წ);
2. ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა'' სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N98 (23.09.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ,,საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი